



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 30 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №154/22
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 7 სექტემბრის №154 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ უკანონოდ გააუქმა ორი ინსტანციის გადაწყვეტილება, იხელმძღვანელა მინისტრის მოადგილის წერილით, 2007 წელს დანიშნა სასამართლოს სხდომა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეცვლით მიიღო მოპასუხისათვის მისაღები გადაწყვეტილება. 2012 წელს სხდომა დანიშნა ისე, რომ არანაირი ახალი გარემოება ან მტკიცებულება გარდა ფინანსთა მინისტრის მოადგილის წერილისა არ ყოფილა წარმოდგენილი.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე -- -- დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი გასაცემი თანხის სახით -- ლარის, ხოლო ყოველთვიურ სარჩოდ -- ლარის გადახდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 4 ნოემბრის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 4 ნოემბრის განჩინება.

2006 წლის 29 აგვისტოს საქმეზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი და -- -- სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა აღსასრულებლად.

2.2. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, -- -- განცხადება დაკმაყოფილდა; გაიცა ახალი სააღსრულებო ფურცელი -- --

რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომელშიც კრედიტორ -- -- მიმართ მოვალედ -- -- ნაცვლად მიეთითა მისი უფლებამონაცვლე -- -- სამინისტრო.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინება.

2.3. 2010 წლის 6 ივლისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა -- -- სამინისტრომ და მოითხოვა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და მისი მონაწილეობით საქმის წარმოების განახლება. ამასთან, მოითხოვა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინების აღსრულების შეჩერება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2010 წლის 9 ივლისის განჩინებით, -- -- სამინისტროს განცხადება დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით საქმეზე დაინიშნა ზეპირი განხილვა, ხოლო აღნიშნულ განცხადებაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინების აღსრულება.

მოსამართლე -- -- 2012 წლის 8 ივნისის განჩინებით, -- -- სამინისტროს განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 განჩინება; გაუქმდა 2008 წლის 20 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი და განახლდა საქმის წარმოება, ხოლო -- -- სამინისტრო საქმეში ჩაბმული იქნა მესამე პირად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

2012 წლის 8 ივნისის მოსამართლე -- -- განჩინებით -- -- განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაიცა ახალი სააღსრულებო ფურცელი -- -- სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაზე კრედიტორ -- -- მიმართ და მოვალედ -- -- ნაცვლად მიეთითა მისი უფლებამონაცვლე -- -- 2007 წლის 1 სექტემბრამდე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი იღებს, თუ მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია, რადგანაც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება განუხორციელებელია. ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების

დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, კერძოდ, ის უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, იცავს პოტენციურ მოპასუხეებს დროულად განუცხადებელი საჩივრებისგან, რომელთა განხილვის შემთხვევაშიც რთული იქნებოდა სამართლიანობის დადგენა, ვინაიდან სასამართლოებს მოუწევდათ გადაწყვეტილების მიღება იმ მოვლენების ირგვლივ, რომელთაც შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი ... (Stubbings and Others v. the United Kingdom, §51).

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი, სადავოდ ხდის მოსამართლე -- -- მიერ 2007 და 2012 წელს განხორციელებულ ქმედებებზე, რომლიდანაც გასულია 3 წელზე მეტი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლით, იმავე კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2022 წლის 7 სექტემბრის №154 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი